

რკინიგზის სადგურების ტერიტორიაზე სარეკლამო საქმიანობის
განხორციელების უფლების მინიჭების მიზნით ინტერესთა გამოხატვის
გამოცხადების განმხილველი დროებითი კომისიის სხდომის

ოქმი N2


თბილისი

2017 წლის 27 თებერვალი

შპს „ჯიარ ქონების მართვის“ გენერალური დირექტორის 2017 წლის 7 თებერვლის ბრძანებით შექმნილმა, შპს „ჯიარ ქონების მართვის“ საკუთრებაში არსებული ოცდასამი რკინიგზის სადგურის („ვაგზლის“) ტერიტორიაზე სარეკლამო საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭების მიზნით, ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების და შედეგების განმხილველმა დროებითმა კომისიამ გენერალური დირექტორის მოადგილის ლევან კუპრეიშვილის თავმჯდომარეობით, კომისიის წევრების: თამაზ ბარაბაძის, მალხაზ ჯალაღონიას, ნ ყალიჩავას, ანი ჯაფარიძისა და მაია ბუაძის მონაწილეობით, განიხილა აღნიშნულ საკითხზე განთავსებულ საჯარო განცხადების შესაბამისად, ამ უფლების მიღებით დაინტერესებული პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი მომართვები და შესაბამისი შემოთავაზებები.

წარმოდგენილი შემოთავაზებების განხილვით გაირკვა შემდეგი:

1. პრეტენდენტის, შპს „ალმას“ შემოთავაზება, ზემოაღნიშნული უფლების სანაცვლოდ, ითვალისწინებს ყოველთვიური საფასურის განსაზღვრას 20 500(ოცი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით, (დღგ-ს ჩათვლით) უფლების 20 წლის ვადით მიღების პირობით;
2. პრეტენდენტის, ფ/პ-ის ზვიად მეფარიშვილის შემოთავაზება ითვალისწინებს ყოველთვიური საფასურის განსაზღვრას 30 500(ოცდაათი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით, (დღგ-ს ჩათვლით) უფლების 20 წლის ვადით მიღების პირობით;
3. პრეტენდენტის, შპს „ფავორიტი ედვერთისმენტი“-ს მიერ, გათვალისწინებულია ყოველთვიური საფასურის განსაზღვრა 15 000(თხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით, (დღგ-ს ჩათვლით) უფლების 20 წლის ვადით მიღების პირობით;
4. პრეტენდენტის, შპს „დბს“-ს მიერ, ითვალისწინებული იყო ყოველთვიური საფასურის განსაზღვრა 20 000(ოცი ათასი) ლარით, (დღგ-ს ჩათვლით) უფლების 20 წლის ვადით მიღების პირობით;
5. პრეტენდენტის, შპს „ბიგ ბორდი“-ს მიერ, ზემოაღნიშნული უფლების სანაცვლოდ, გათვალისწინებული იყო, ყოველთვიური საფასურის განსაზღვრა 16,005(თექვსმეტი ათას ხუთი) ლარით, (დღგ-ს ჩათვლით) უფლების 20 წლის ვადით მიღების პირობით.



როგორც წარმოდგენილი შემოთავაზებების განხილვამ ცხადყო, შემოთავაზებულ თანხებს შორის დაფიქსირდა როგორც არსებითად დიდი სხვაობა (30 500-15 000 ლარი), ასევე ორ პრეტენდენტს შორის უმნიშვნელო ოდენობის სხვაობა (20 000-20 500 ლარი).


კომისიის წევრებმა მიიჩნიეს, რომ წარმოდგენილ შემოთავაზებებში არსებული არაადეკვატური სხვაობებისა და გასაფორმებელ ხელშეკრულების პირობებში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ინტერესთა ზეპირი გამოხატვის საჯარო მოსმენის ფორმატით, დაზუსტდეს შემოთავაზების ოპტიმალური ოდენობა, რა დროსაც პრეტენდენტებს მიეცემათ შესაძლებლობა სხვა პრეტენდენტთა შემოთავაზებებთან მიმართებაში განსაზღვრონ შემოთავაზების საფასურის მათ მიერ განსაზღვრული საბოლოო ოდენობა.

გარდა აღნიშნულისა, ზეპირი გამოხატვის საჯარო მოსმენის დროს, საწყის ფასად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ინტერესთა გამოხატვის დროს წარმოდგენილი თანხის ოდენობა, უზრუნველყოფილი სათანადო გარანტიით.

კომისიამ დაადგინა:


1. შპს „ჯიარ ქონების მართვის“ საკუთრებაში არსებული ოცდასამი რკინიგზის სადგურის („ვაგზლის“) ტერიტორიაზე სარეკლამო საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭების უფლების მიღებით დაინტერესებული პრეტენდენტების შემოთავაზებების დაზუსტება- განსაზღვრის მიზნით, პრეტენდენტთა მონაწილეობით, ჩატარდეს ინტერესთა ზეპირი გამოხატვის საჯარო მოსმენა.
2. დაევალოს კომისიის წევრებს, შეიმუშაონ ინტერესთა ზეპირი გამოხატვის პირობები, რაც ეცნობოთ პრეტენდენტებს.


კომისიის თავმჯდომარე:


 ლევან კუპრეიშვილი

წევრები:

 თამაზ ბარაბაძე

 მალხაზ ჯალალონია

 ნიკოლოზ კალიჩავა

 ანი ჯავარიძე

 მაია ბუაძე